ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47223203**
თარიღი:**16/11/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის - აკაკი ყაჭეიშვილის ანგარიში, 2021 წლის დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის

ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 11 ნოემბერი 2022 წელი.

შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - შუა ამაღლების მაჟორიტარული ოლქი (შუა ამაღლება, გოგოლესუბანი).

შეხვედრას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - ლაშა თოლორდავა;

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - აკაკი ყაჭეიშვილი;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარულიძე;

მერის წარმომადგენელი გოგოლესუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში- დავით სიხარულიძე;

მერის წარმომადგენელი შუა ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში- ბელა შათირიშვილი;

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;

არასამთავრობო ორგანიზაცია - გურიის სამოქალაქო ცენტრის წარმომადგენელი - თამთა ცინცაძე;

ამომრჩევლები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის „88-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრმა აკაკი ყაჭეიშვილმა ამომრჩვლებს (მოქალაქეებს) წარუდგინა ანგარიში უფლებამოსილების ცნობის დღიდან, 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშობის შესახებ. აღნიშნა, რომ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, საფინანსო საბიუჯეტო კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი“. მან ყურადღება გაამახვილა საკრებულოს იმ კომისიის საქმიანობაზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. მან, ისაუბრა საანგარიშო პერიოდში შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მათ შორის აღნიშნა და ყურადღება გაამახვილა შუა-ამაღლებაში უდაბნოს მამათა

მომასტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე, სხვადასხვა უბნებში მოქმედი წყლის სისტემის აღდგენით სამუშოებში მონაწილეობის მიღებაზე, შეეხო სამაჟორიტარო ოლქში შემავალ სოფელ გოგოლესუბანში გაწეულ საქმიანობაზე, ასევე სოფელში სხვადასხვა უბნებში სოფლის გზების შეკეთებაზე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის გაწეულ დახმარებაზე. აღნიშნა, რომ აქტიურად იყო ჩართული 2022 წლის ბიუჯეტის შედგენაში, იმ პრიორიტეტული საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტისათვის (ანგარიში თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი